

# პერსონაჟის ენაზე დაკვირვება მხატვრული ტექსტის დამუშავებისას

თინათინ შვანგირაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის  
მასწავლებლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

პროგრამა: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის  
საენის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი (საგნობრივი მიმართულება - ქართული  
ენა და ლიტერატურა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათელა მაღლაკელიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## სარჩევი

აბსტრაქტი .....	3
<b>შესავალი</b>	
საკვლევი საკითხის აქტუალობა .....	4
კვლევის მიზანი.....	5
საკვლევი საკითხები.....	6
კვლევის ობიექტი.....	6
კვლევის ჩატარების დრო.....	6
კვლევის მეთოდი.....	7
შერჩევის ტიპი.....	7
მონაცემთა შეგროვების მეთოდები.....	8
კვლევის შეზღუდვები.....	9

### I თავი

საკითხის კვლევა ქართულ მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში.....	9
---	---

### II თავი

#### სწავლების ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზი

2.1. ესე ანალიზი .....	18
2.2. სახელმძღვანელოების ანალიზი.....	22

### III თავი

#### ლიტერატურული და ენობრივი მასალის ინტეგრირება პერსონაჟის ენაზე დაკვირვებისას

3.1. მოსწავლეთა კითხვარის პასუხების შედეგები.....	31
3.2. მასწავლებელთა კითხვარის პასუხების შედეგები.....	33
3.3. კვლევის პრაქტიკული სავარჯიშოები.....	35

დასკვნები და რეკომენდაციები.....	38
----------------------------------	----

გამოყენებული ლიტერატურა .....	41
-------------------------------	----

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს კვლევის ანგარიშს, რომელიც შეეხება პერსონაჟის ენაზე დაკვირვებას მხატვრული ტექსტის დამუშავებისას. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა აღგვეჩერა და დაგვედგინა ის სირთულეები, რომლებიც პერსონაჟის ენაზე დაკვირვებას ახლავს სკოლაში, შეგვესწავლა ამ მიმართულებით მასწავლებელთა და მოსწავლეთა გამოცდილება - თუ რა სტრატეგიებს იყენებენ მასწავლებლები და შეესაბამება თუ არა ეს სტრატეგიები ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს. ჩვენი კვლევის მიზანს ასევე წარმოადგენდა, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც შემდგომში გარკვეულ დახმარებას გაუწევენ როგორც საგნის მასწავლებლებს, ისე ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს. კვლევის სამიზნე ჯგუფებს შეადგენენ თბილისის კერძო სკოლა „დავითიანის“ საბაზო საფეხურის მოსწავლეები და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები. აღნიშნული კვლევის ჩატარების დროს გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მეთოდები. მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტებს კი წარმოადგენს: ინტერვიუ მასწავლებლებთან, კითხვარი მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და დაკვირვება. ნაშრომში ასევე ცალ-ცალკე არის განხილული მონაცემთა შეგროვების მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტების (ინტერვიუ, კითხვარები) შედეგები. წინამდებარე ანგარიშის დასასრულს წარმოდგენილია შედეგების ანალიზი. მათზე დაყრდნობით შემუშავებულია რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება და ადაპტირება შესაძლებელია სხვა შემთხვევებშიც.